სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს 2020 წლის ანგარიში

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ -საჯარო სამსახურის ბიუროს ინფორმაციის საჯაროობის 2020 წლის ანგარიშს.

საანგარიშო წლის განმავლობაში:

1. ბიუროს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარედგინა 67 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით ბიუროსთვის მომართვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ბიუროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1 შემთხვევაში, ხოლო ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 3 შემთხვევაში.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა 60 შემთხვევაში, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3 შემთხვევაში, უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1 შემთხვევაში, 3 განცხადება მომზადების პროცესშია და პასუხი გაიცემა კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში. გადაწყვეტილება თითოეულ შემთხვევაში მიღებულია ბიუროს უფროსის - ეკატერინე ქარდავას მიერ. ბიურო არ წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას, შესაბამისად სხდომის დახურვის პირობებში გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

3. ბიურო პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაცემისას ხელმძღვანელობს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მის მიერ მუშავდება, მასთან დაცულია, ინახება და მესამე პირებზე გაიცემა პერსონალური მონაცემები „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილ ფარგლებში.

4. ბიუროს მოსამსახურეთა მიერ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დაკისრების არცერთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

5. სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდა „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ და ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

6. სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდა 1 შემთხვევაში სასამართლო წესით და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბიუროს სასარგებლოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება. ხსენებული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესახებ ინფორმაცია, დღეის მდგომარეობით არ არის წარმოდგენილი ბიუროში.

7. საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური

საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს არ ჰქონია.